შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№20-21 (9.634-35)

7-14 ივნისი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

15 ივნისს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების - საკრებულოების არჩევნებია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო ამჯერად 27 წევრით განისაზღვრება. 15 წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო 12 წევრი - მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება განისაზღვრება 4 წლის ვადით.

ძვირფასო ამომრჩევლებო, არჩევნების დღეს უნდა გააკეთოთ არჩევანი და აირჩიოთ საკრებულოს წევრები როგორც პროპორციული წესით, ისე მაჟორიტარული სისტემით, ასევე, თქვენ, საქართველოს ისტორიაში პირველად, ირჩევთ გამგებელსაც.ამისთვის თითოეული თქვენგანი მიიღებს სამ ბიულეტენს.

პროპორციული საარჩევნო ბიულეტენი ეწოდება ბიულეტენს, რომელშიც შეტანილია პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მონაცემები. ამომრჩეველს უფლება აქვს, ხმა მისცეს მხოლოდ ერთ პარტიას. თუ ამომრჩეველი ხმას მისცემს ერთზე მეტ პარტიას, ბიულეტენი ბათილად ჩაითვლება.

მაჟორიტარულია ბიულეტენი, რომელშიც შეტანილია მაჟორიტარული სისტემით ასარჩევი დეპუტატობის კანდიდატების მონაცემები. ბიულეტენის შევსებისას ამომრჩეველმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ ერთი ხმა აქვს და ხმაც მხოლოდ ერთ კანდიდატს უნდა მისცეს.

წელს ამომრჩეველი კიდევ ერთ ბიულეტენს მიიღებს, სადაც მან სასურველი გამგებლობის კანდიდატი უნდა შემოხაზოს.

ძვირფასო ამომრჩევლებო, მიდით არჩევნებზე და დაფიქსირეთ თქვენი არჩევანი! ეს თქვენი უფლებაცაა და მოქალაქეობრივი ვალიც!

წინასაარჩევნო გარემო დედოფლისწყაროში

ახალი მოწვევის საკრებულოში სამი დეპუტატით მეტი მოხვდება. ახლახანს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, პროპორციული სიით 12-ის ნაცვლად 15 მანდატი გაიცემა, მაჟორიტარული წესი კი უცვლელად რჩება. დედოფლისწყაროს ოლქებიდან კვლავ 12 დეპუტატი შევა. სიახლეა ისიც, რომ საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველს ფოტოსურათიანი ამომრჩეველთა სიები დახვდება, რაც კენჭისყრაში ერთიდაიმავე ადამიანის ორჯერ მონაწილეობას, ან სხვა ადამიანის ნაცვლად ხმის მიცემას გამორიცხავს. ამას გარდა, მხედველობის პრობლემის მქონე ადამიანებისთვის საარჩევნო კაბინაში გამადიდებელი ლუპა დაემატა.

რამდენად მზადაა საოლქო-საარჩევნო კომისია თვითმმართველობის არჩევნების ჩასატარებლად, შევიდა თუ არა რაიმე სახის საჩივრები, ამის შესახებ გაზეთი „შირაქი“ №14-ე დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ესაუბრა:

დავით ბუჩუკური: „15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნების შედეგების დათვლის შემდეგ საერთო ჯამში, დედოფლისწყაროს საკრებულო 27 წევრით დაკომპლექტდება, ამჟამად კი 24 წევრია. ახლა დაამტკიცეს ცვლილებები და სამი მანდატი პროპორციულ სიას დაემატება. სიახლეა ისიც, რომ ბეჭდებზე ნაკვეთურის დატანის წესი ცესკო-ს მიერ გაუქმებულია და მინდა ყველამ იცოდეს, რომ ცვლილებების თანახმად არცერთ ბეჭედზე ნაკვეთური აღარ კეთდება.

რაც შეეხება ჩვენს ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას - 23 052 ამომრჩეველია დედოფლისწყაროში რეგისტრირებული, შესაძლოა, სიების დაზუსტების შემდეგ უმნიშვნელო ცვლილებები კიდევ შევიდეს, თუმცა რიცხვი მნიშვნელოვნად აღარ შეიცვლება.

წელს დედოფლისწყაროს ოლქში მხოლოდ ექვსი პოლიტიკური პარტია დარეგისტრირდა. მოგეხსენებათ, რადგან ახლა თვითმმართველობის არჩევნებია პოლიტიკური სუბიექტები კონკრეტულ ოლქებშიც უნდა დარეგისტრირდნენ, რადგან, შესაძლოა ამა თუ იმ ოლქში პარტიას არ სურდეს მონაწილეობის მიღება, ან არ ჰყავდეს რაიონში საკუთარი ორგანიზაცია და წარმომადგენელი. ამჯერად რეგისტრაციაში გავატარეთ:

№1 – ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)

№3 – ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია

№5 – ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

№9 – ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“

№20 – შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტული პარტია

№41 ბლოკი „ქართული ოცნება“.

საინიციატივო ჯგუფის სახელით დარეგისტრირების თხოვნით მხოლოდ ორ ოლქში მოგვმართეს, ესენია სოფელ არბოშიკისა და ქვემო ქედის ოლქები. ბიულეტენში ორივე მათგანის ნომერი იქნება - 42. სოფელ **არბოშიკის** ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატად წარდგენილია **გიორგი სეხნიაშვილი**. მისი წარმდგენი საინიციატივო ჯგუფის წევრები არიან: ჟულვერი ალადაშვილი, თამარ ბაცაცაშვილი, გიორგი ჩომახაშვილი, პაატა ნატროშვილი, შოთა ბატიაშვილი, რამინ მაჩაბლიშვილი;

რაც შეეხება სოფელ **ქვემო ქედში** წარდგენილ დამოუკიდებელ კანდიდატს, ეს გახლავთ **ავთანდილ ხარხელაური**. ქვემო ქედიდან საინიციატივო ჯგუფის წევრები არიან: ზაურ ჩიტაური, ნიაზ წიკლაური, ხვთისო ბუქური, გიორგი აფციაური, ეთერ ბუქური;

გამგებლობის კანდიდატად მხოლოდ სამი სუბიექტი დარეგისტრირდა: **გელა ბაგალიშვილი** - **არასაპარლამენტო ოპოზიციიდან**; **ემზარ ჯანაშვილი** - **ნაციონალური მოძრაობიდან** და **ნიკოლოზ ჯანიაშვილი** - **კოალიცია „ქართული ოცნებიდან“**. დანარჩენ პარტიებს დედოფლისწყაროს გამგებლობის კანდიდატი არ ეყოლებათ.

ზოგადად, როგორც ჩანს, საარჩევნო გარემო დედოფლისწყაროში ძალიან მშვიდია და დაძაბულობა არ შეინიშნება. საოლქო კომისიაში ამ დრომდე არცერთი საჩივარი არ შემოსულა“.

გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია სამი კანდიდატის მიერ კანდიდატურის მოხსნის თაობაზე.

დედოფლისწყაროში „ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციიდან“ და „ნაციონალური მოძრაობიდან“ წარდგენილმა სამმა კანდიდატმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

„შირაქი“-ს ინფორმაციით ერთიანი ოპოზიციიდან კანდიდატურა მოხსნეს სოფელ არხილოსკალოს მაჟორიტარმა კანდიდატმა ვახტანგ მესაბლიშვილმა და სიის მერვე ნომერმა მაია ბენაშვილმა. ასევე, „ნაციონალური მოძრაობიდან“ სოფელ არბოშიკის მაჟორიტარობის კანდიდატმა ლევან ბაღაშვილმა.

როგორც „ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა შოთა ჯამასპიშვილმა „შირაქი“-ს განუცხადა, მათი პროპორციული სიის ერთ-ერთი წევრის მაია ბენაშვილის მიერ კანდიდატურის მოხსნის შესახებ ინფორმირებული იყო. მან ქვეყანა დატოვა და საზღვარი რამდენიმე დღის წინ გადაკვეთა, თუმცა, სოფელ არხილოსკალოს მაჟორიტარი კანდიდატის გადაწყვეტილება მისთვის უცნობი იყო.

„ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციაში განმარტავენ, რომ არბოშიკში ლევან ბაღაშვილმა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა ზეწოლის შედეგად მოხსნა. „ქართული ოცნების“ წევრები კი ზეწოლას უარყოფენ და ამბობენ, რომ მათი და „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი კანდიდატი მოგვარეები და ახლობლები არიან, რის გამოც ერთმანეთთან დაპირისპირება არ სურდათ.

შეგახსენებთ, მაჟორიტარობის და გამგებლობის კანდიდატებისთვის კანდიდატურის მოხსნისა და არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის ვადა 5 ივნისს, 18:00 საათზე ამოიწურა

ილია მარტყოფლიშვილი

ეჭლები - უნარშეზღუდულებს

გვ. 3

ეურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50. 2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 15 ივნისამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

ერთი დღე ბახის სამყაროში

გვ. 4

ბავშვობის გზაგასაყართან

გვ. 5

C M Y K

მინდა გავიმეორო, რომ რა თქმა უნდა, ყველგან უნდა გავიმარჯვოთ – ირაკლი ღარიბაშვილი

მე მინდა გავიმეორო, რომ რა თქმა უნდა, ყველა ქალაქში, რაიონსა და სოფელში ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რუსთავში მოსახლეობის წინაშე სიტყვით გამოსვლისას.

„უნდა გავიმარჯვოთ, რა თქმა უნდა, ყველა ქალაქში, მინდა გავიმეორო - ყველა რაიონსა და ყველა სოფელში. რა თქმა უნდა, ამბიცია გვაქვს, რომ ყველგან დამაჯერებლად გავიმარჯვოთ. ხალხს ყველა ხელისუფლება ჰპირდებოდა, რომ თვითმმართველობის რეფორმას ჩაატარებდა, მაგრამ ვერცერთმა ვერ შეძლო, ვერ გაბედა, რადგან ეს ხელისუფლების, ძალაუფლების გადანაწილებას გულისხმობს. მაგრამ ჩვენ თვითმმართველობის, ხალხისთვის ძალაუფლების გადაცემის არ გვეშინია. პირიქით, ეს ჩვენი გუნდის სიძლიერე და პოლიტიკური ნებაა. ჩვენი ხალხი წლების განმავლობაში შეეჩვია, რომ მას არაფერს ეკითხებოდნენ. უფრო მეტიც, თვითონ ადგილობრივი ხელისუფლებაც ვერაფერს წყვეტდა, იგი მთლიანად ერთი კაცის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ეს დრო დამთავრდა, მეგობრებო, ადგილობრივ ხელისუფლებას მეტი ლეგიტიმაცია უნდა ჰქონდეს“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, საარჩევნო ბარიერი 50 პროცენტით სწორედ ამ მიზნით განისაზღვრა. ამის პრეცედენტი ჩვენს ქვეყანაში არასოდეს ყოფილა.

„არათუ ჩვენს ქვეყანაში, არამედ ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში მერებს და გამგებლებს პირდაპირი არჩევნების გზით ჯერ კიდევ ვერ ირჩევენ. ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი”, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობა სამოქალაქო სოლიდარობის ფონდს ქმნის

საქართველოს მთავრობის სხდომაზე მინისტრებმა დღეს სამოქალაქო სოლიდარობის ფონდის შექმნა განიხილეს. პროექტის კონცეფცია მთავრობის ადმინისტრაციამ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ერთობლივად მოამზადა.

როგორც მთავრობის სხდომის შემდეგ მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, ნინო კობახიძემ განმარტა, მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც 45 დღის ვადაში წარმოადგენს ფონდის მუშაობის სამოქმედო გეგმას და განსაზღვრავს ფონდის ფუნქციონირების გამჭვირვალე და მოქნილ სისტემას.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მარიამ ჯაში. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ნინო კობახიძე და იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრების მოადგილეები.

სოლიდარობის ფონდი საჯარო და კერძო სექტორიდან ფინანსური რესურსების მობილიზებასა პრიორიტეტულ სოციალურ საჭიროებებზე მიმართვას მოემსახურება.

ფონდში დონაციების შეტანა ნებაყოფლობითი იქნება როგორც საჯარო თუ კერძო სექტორში დასაქმებული ინდივიდუალური მოქალაქეებისათვის, ასევე კერძო კომპანიებისათვის.

„ფონდის მიზანია სოციალური პრობლემლემების მოგვარებაში საზოგადოებრივი სოლიდარობის მექანიზმის ჩართვა. ეს მნიშვნელოვანია როგორც უშუალოდ პრობლემების მოსაგვარებლად, ასევე სამოქალაქო ინტეგრაციის, საზოგადოებრივი ჯგუფების ურთერთთანამშრომლობისა და სოლიდარული საზოგადოების ფორმირებისთვის, კერძო სექტორის სოციალური პასუხისმგებლობისა გაზრდისა და კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის პრინციპების განსახორციელებლად“, - აღნიშნა ნინო კობახიძემ.

სოლიდარობის ფონდი პირველ ეტაპზე ორიენტირებული იქნება მოქალაქეთა ისეთი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, რომლთა სრულად უზრუნველყოფა დღეისთვის სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო ბიუჯეტის პირობებშიც შეუძლებელია.

სოლიდარობის ფონდის საქმიანობის ზედამხედველობას სამეთვალყურეო საბჭო განახორციელებს, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს.

კახეთში თანამედროვე ნაგავსაყრელები მოეწყობა

კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში ახალი საერთაშორისო სტანდარტების რეგიონული სანიტარიული ნაგავსაყრელები აშენდება. მოქმედი, ძველი ნაგავსაყრელები კი დაიხურება.

შესაბამისი ხელშეკრულება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა და შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დირექტორმა გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკთან (KFW) უკვე გააფორმეს.

დოკუმენტი კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ინტეგრირებული მართვისთვის საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დაფინანსებას ითვალისწინებს.

„დოკუმენტი გაფორმდა გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკსა და „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ შორის მიღწეული შეთანხმების ჩარჩოებში, რომელიც, საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტების განხორციელებას გულისხმობს“, - განაცხადეს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, პირველ ეტაპზე გამოყოფილი 800 ათასი ევროს მოცულობის გრანტით ახალი, საერთაშორისო სტანდარტების რეგიონული სანიტარიული ნაგავსაყრელების პროექტის რეალიზებისთვის აუცილებელი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა დაფინანსდება.

პოლიტიკური დებატები



სტუდია „ობიექტივის“ ეთერში გასულ გადაცემაში „დედოფლისწყაროს საათი“, „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატობის კანდიდატმა ლევან ბაღაშვილმა მოქმედ ხელისუფლებას მუშაობის სტილი დაუწუნა და გარკვეულ სფეროში მიმდინარე პროცესი მწვავედ გააკრიტიკა. კრიტიკა განსაკუთრებით წყლის მიწოდების სფეროში შექმნილ საკითხს შეეხო. კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატმა გია გოგილაშვილმა, რომელიც „წყალკანალის“ ხელმძღვანელის პოსტს იკავებს (არჩევნებთან დაკავშირებით ის კუთვნილ შვებულებაში იმყოფება, იგი ბაღაშვილის გამგებლად მუშაობის პერიოდში ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახლდათ), მის „ბრალდებებს“ აბსურდული უწოდა, მის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას კი დეზინფორმაცია და მორიგი ტყუილი. გთავაზობთ ორივე მათგანის მოსაზრებას.

ლევან ბაღაშვილი: ელემენტარულ საკითხს დავასახელებ, მაგალითად წყალმომარაგების პრობლემა დედოფლისწყაროში. ისტორიას არ ახსოვს, 24 საათიან რეჟიმში წყალი ჰქონოდა ქალაქ დედოფლისწყაროს. ჩვენმა გუნდმა ეს შეძლო და თითქმის სამი წლის განმავლობაში 24 საათიანი რეჟიმი დაცული იყო... მაგრამ, რა ხდება დღეს? არ გვაქვს წყალი! პირდაპირ გეტყვით, ჩვენ გვაქვს უნარი, ეს საქმე ვაკეთოთ... წყალმომარაგების კომპანიის ახალ ხელმძღვანელობას, რომლებიც დღეს დეპუტატობის კანდიდატებიც არიან, არ აქვთ უნარი, ეს საქმე მოაგვაროონ.

გია გოგილაშვილი: „დედოფლისწყაროში წყლის პრობლემის მოგვარება 3 წლის წინ დავით ლეკიშვილმა დაიწყო. მისი ინიციატივით ქალაქის ერთ ნაწილში, კერძოდ, ლიანდაგების ზემოთ გავიყვანეთ ახალი ქსელები და საქართველოში პირველად დაიწყო გამრიცხველიანება, რომელიც უახლოეს პერიოდში ქალაქ დედოფლისწყაროზე მთლიანად გავრცელდა და წყლის მიწოდების 24საათიანი გრაფიკი ამოქმედდა. შეგახსენებთ, რომ 2012 წლამდე წყალი მხოლოდ ქალაქის ცენტრს ჰქონდა ზაფხულის პერიოდში, ხორნაბუჯსა და სამრეკლოში კი საუბნო ონკანებზე რიგები იდგა და ხალხი წყურვილით იხრჩობოდა. თვითონ ჰქონდა წყალი, რადგან გამგებელი იყო და წყალკანალის თანამშრომლები ღამეები დარბოდნენ, ქალაქის ცენტრში და გამგებლის სახლში წყალი რომ არ შეწყვეტილიყო. ახლა რომ კითხულობს გაკვირვებული, რა მოხდაო? რა მოხდა და 2010 წლიდან 1900 ოჯახი იღებდა წყალს, 2012 წლის ჩათვლით- 2300, 2013 წელს კი-3351 ოჯახს აქვს წყალი. მომხმარებლის რიცხვი გაიზარდა, წყლის დეფიციტი გვალვებთან ერთად ამანაც გამოიწვია. დღეის მდგომარეობით, 24 საათიან წყალმომარაგებას სამრეკლოს 60% იღებს, ქალაქი და სოფელი ხორნაბუჯი მთლიანად. მარტო ხორნაბუჯში 52 საუბნო ონკანი ჩავჭერით და მოსახლეობას საშუალება მივეცით, სახლებში შეეყვანათ წყალი. ნახეთ, ერთი, რამდენმა ოჯახმა გაიუმჯობესა ამით საყოფაცხოვრებო პირობები და რამდენია გახარებული და კმაყოფილი. ნაციონალებისთვის ხომ მთავარი ფასადები, შადრევნები და საკუთარი კეთილდღეობა იყო. ბოლო 60 წლის განმავლობაში კახეთში ასეთი გვალვა არ დაფიქსირებულა, როგორიც წელსაა. შარშან ლიმონათის წყალი რომ არ ჩაგვეყვანა მაზოვკის სატუმბოზე, პრობლემები უკვე შარშანაც იქნებოდა. „ობიექტივის“ ეთერში ბაღაშვილის გამომეტყველებას რომ ვუყურებ, ლოგიკური ეჭვი მიჩნდება, ლიმონათის წყლის მაგისტრალზე „პლასტმასის“ ბოთლის წყალობით წყალი რომ დაგვიწყვიტეს, (სახანძროს ბიჭებმა გაიხარონ, მაგათმა მანქანამ გვიშველა), ნაციონალების გაკეთებული ხომ არ იყო.

საკრებულოში სწორ აზრს მივაწვდით ხელისუფლებასო-რომ ამბობს, რომელ სწორ აზრზეა საუბარი? თავისი გამგებლობის პერიოდში ცენტრალური რეზერვუარიდან გამომავალი ახალი მაგისტრალით წყალს ვაძლევდით ძველი პოლიციის ზემოთ უბნებს, ცენტრში კი ისევ ძველი, სტადიონის წყალსაქაჩი მუშაობდა გრაფიკით. გამგებლის პოსტზე ყოფნისას, მითხრა, გინდა თუ არა, ახალი ქსელიდან წყალი ძველ ქსელში გადმორთეო. ვუხსნიდი, რომ ეს არ შეიძლებოდა, რადგან ძველი ქსელი ამორტიზირებული იყო, რომელიც 4 ატმოსფეროს ძლივს უძლებდა, ახალში კი 10-12 ატმოსფერული წნევა იყო. ვეუბნებოდი, მილებს სულ ზემოთ ამოგვიყრის-მეთქი, მაგრამ დაჟინებით მთხოვდა და მეუბნებოდა, შენ არ გინდა გაკეთებაო...

იგივე სიტუაცია იყო 9 აპრილის ქუჩაზე, სადაც მაზოვკიდან ვქაჩავდით წყალს, მილი ამორტიზირებული იყო, მაგისი ერთ-ერთი მოადგილე, (რომ იძახის, საუკეთესო კადრები გვყავსო), მთხოვდა, რომ ამორტიზირებული მაგისტრალის ნაცვლად წყალი გაუქმებული გაზსადენის მილებში შეგვეშვა და იქედან მიგვეცა მოსახლეობისთვის. ამის შმდეგ დაიწყო ჩემი შევიწროვება. საერთოდ აღარ გვაფინანსებდა, მარტო მოხმარებული ელექტროენერგიის ფულს გვირიცხავდა. ბატონო ლევან, შენი საუკეთესო საკადრო პოლიტიკის შედეგი იყო, ყოველ 6 თვეში „წყალკანალს“ ახალი ხელმძღვანელი რომ ჰყავდა.მარტო შენს პერიოდში ორგანიზაციამ 4 ხელმძღვანელი გამოიცვალა. შენი გუნდი მართლა ღამეებს ათენებდა, მაგრამ არა საქმის საკეთებლად, როგორც ამბობ, არამედ რესტორნებსა და კაზინოებში. ბიუჯეტის ხარჯზე რამდენი მანქანა შეიძინეს და მერე ნასვამ მდგომარეობაში გაანადგურეს?

ერთი რჩევა მინდა მივცე ბაღაშვილს: - შიხიაშვილები დედოფლისწყაროში ნამდვილად არ არიან, უბრალოდ, ხალხმა დაინახა, რის გამკეთებლებიც იყავით და არჩევნებში თავისი აზრი გამოხატა და ახლაც გამოხატავს.თქვენ რომ ყოფილიყავით, იმ 5 მილიონს, სოფლებში კარგი და ხარისხიანი საქმისთვის კი არ დახარჯავდით, არამედ 5 კორპუსს ფასადს შეუცვლიდით და საპიაროდ სურათებსაც გადაუღებდით.



და ბოლოს, შენგან უუნაროდ მონათლულმა ხელმძღვანელმა და მაჟორიტარობის კანდიდატმა (1986 წლიდან ნებისმიერმა ყოფილმა რაიონის ხელმძღვანელმა, ნებისმიერმა მოქალაქემ, შენი და 5-6 ნაციონალის გარდა, რომლებიც შენს გვერდზე არიან, ჩემზე რომ თქვას, საქმე არ იცისო, დღესვე დავწერ განცხადებას და გავთავისუფლდები), მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად ლიმონათის წყალიც ავითვისეთ ერთი წლის განმავლობაში, ატეკის წყაროს დიდი მილიც დავუერთეთ სატუმბო სადგურს, რომელიც წლების განმავლობაში იღვრებოდა, ქვემო ქედში რუსის წყალზე სათავე ნაგებობაც გავწმინდეთ და დებეტიც გავზარდეთ, სამთაწყაროში ერთი ჭაბურღილიც დავამატეთ და მთელი ქედების ზონის გამრიცხველიანება მალე დასრულდება. ქალაქ დედოფლისწყაროში ჭაბურღილებსაც უახლოეს დღეებში დავამატებთ.

ახალი გუნდი, რომელიც მოვალთ საკრებულოში, პირობას ვაძლევთ მოსახლეობას, იმდენი წყალი გვექნება, გვალვაშიც კი არ შეგვექმნება წყალმომარაგების პრობლემა.

P.S. ნაციონალების გუნდიდან ხალხის გამოდინებას ზეწოლას რომ აბრალებენ, ეს სულაც არაა მართალი. ჩემს წინასაარჩევნო შეხვედრაზე ერთმა მოხუცმა კაცმა სახალხოდ განაცხადა: „წელს ისეთი გვალვა იქნება, ნაციონალებს მთლიანად გაუხმობს ფესვებსო“...

ეტლები-უნარშეზღუდულებს

საქველმოქმედო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ წარმომადგენლებმა ამერიკული მხარის დაფინანსებით დედოფლისწყაროსა და მის სოფლებში მცხოვრებ უნარშეზღუდულ მოქალაქეებს საჩუქრად ეტლები გადასცეს. პროცესს დონორი ორგანიზაციის საქართველოს ჰუმანიტარული სამსახურის წარმომადგენლები ედმონდ და პამელა დოშები ესწრებოდნენ, რომლებიც ოჯახებს ეწვივნენ და უნარშეზღუდული მოქალაქეები პირადად ანუგეშეს. ისინი სოფელ მირზაანში, სამრეკლოსა და ზემო მაჩხაანშიც იმყოფებოდნენ.

საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელმძღვანელი მაია კვეზერელი-კოპაძე გაზეთ „შირაქთან“ აცხადებს, რომ აქცია არჩევნებს არ უკავშირდება და მათი ინიციატივით დედოფლისწყაროში ეტლები გასულ წლებშიც არაერთხელ შემოვიდა.

„ერთერთი პროექტი, რომელიც 2010 წლიდან ყოველწლიურად ვახორციელებთ ეტლების დარიგებას მთელს საქართველოს ვართ მოდებული. რაც შეეხება დედოფლისწუაროს ხშირი ურთიერთობა გვაქვს. ხშირად ჩამოვდივართ არა მარტო ეტლების დარიგებით, არამედ სხვა ტიპის აქციებითაც. მაგალითად ექიმთა ბრიგადები ჩამოგვყავს, მედიკამენტებით ვეხმარებით და ასე შემდეგ. ამჯერადაც, ერთი ტიპის ეტლები ჩამოვიტანეთ და სხვა კატეგორიის ეტლები გზაშია ივნისის ბოლომდე ჩამოვიტანთ. ჩვენი ამერიკელი მეგობრების დაფინანსებით ვცდილობთ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებები განვახორციელოთ. ჰუმანიტარული მისიით ამერიკის შეერთებული შტატებიდან წყვილი ჩამოდის და ქველმოქმედებას ეწევა. ამჯერადაც ცოლ-ქმარი დოშები ცხოვრობენ თბილისში, მათ შვიდი შვილი ჰყავთ და თითოეული წყვილი წელიწადნახევრით ჩამოდის საქართველოში. ერთობლივი ძალებით ვცდილობთ კეთილი საქმე ვაკეთოთ. ქალბატონ ხათუნა აგლაძესთან და ვანო ნატროშვილთან ინტენსიური ურთიერთობა გვაქვს, მათი წყალობით დეტალურად ვფლობთ ინფორმაციას, დედოფლისწყაროში ვინ და რა კატეგორიის ეტლებს თუ დახმარებას საჭიროებს ჩვენგან და ჩვენც შეძლებისდაგვარად ვცდილობთ მხარში ამოვუდგეთ დედოფლისწყაროელებს. ხშირი კომუნიკაცია გვაძლევს საშუალებას, ზუსტი და განახლებული ინფორმაცია გვქონდეს დედოფლისწყაროდან,“ - აღნიშნავს მაია კვეზერელი-კოპაძე.

ყველა იმ ადამიანის ისტორია, ვინც ამ დახმარებით ისარგებლა რთული მოსასმენი და გულისამაჩუყებელი იყო. ზოგი ავტოავარიის შედეგად ვეღარ გადაადგილდება, ზოგიერთ პაციენტს დენმა დაარტყა, ზოგს ფეხის ამპუტაცია ჩაუტარდა, ზოგს კი ინსულტი და სხვადასხვა პრობლემა ჰქონდა. ყველა მათგანი ეტლის უქონლობაზე საუბრობდა და მიზეზად ერთიდაიგივე გარემოებას ასახელებდა, მაღალი ფასის გამო დამოუკიდებლად მის შეძენას ვერ ახერხებდნენ, ზოგიერთი მათგანი კი ნათხოვარი ეტლით სარგებლობდა, თუმცა ისიც საკმაოდ ამორტიზებული და თითქმის გამოუსადეგარი იყო.

„ახლახან 44 წლის ქალიშვილი სიმსივნით დაეღუპა, ნერვიულობაზე ინსულტი მიიღო. ამას გარდა, დიაბეტი აწუხებს, რამდენიმე თვის წინ განგრენა დაემართა, ფეხის ამპუტაცია დასჭირდა და გადაადგილებასაც ვერ ახერხებს. არადა, კორპუსში ცხოვრობს და მისი ყოველდღიურობა ძალიან გართულდა. მეუღლე კარგად უვლის, მაგრამ რადგან ეტლი არ ჰქონდათ, მოძრაობა უჭირდა, გარეთ საერთოდ ვეღარ გამოდის. მთელი კორპუსის მეზობლები გახარებულები ვართ, რომ ასე დაეხმარნენ და მადლიანი საქმე გააკეთეს, ეს მისთვის ბევრს ნიშნავს, რადგან გარეთ გამოსვლას და ჰაერის ჩაყლაპვას მოახერხებს,“ - აღნიშნავენ ჩვენთან საუბრისას ქალაქ დედოფლისწყაროში მცხოვრები ერთ-ერთი უნარშეზღუდული ქალბატონის მეზობლები.

მათივე მტკიცებით, ივნისის თვეში დედოფლისწყაროში ეტლების კიდევ ერთი პარტია შემოვა, რომელიც იმ კატეგორიის პაციენტებისთვისაა განკუთვნილი, რომელიც ეტლს დამოუკიდებლად ვერ მართავენ.

ეტლების გადაცემის შემდეგ ამერიკელმა სტუმრებმა სოფელ მირზაანში მდებარე ქრისტიანული ტაძრები და ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმი დაათვალიერეს და თვითნასწავლი ქართველი მხატვრის ცხოვრების დეტალებს გაეცნენ.

პამელა და ედმონდ დოშები აცხადებენ, რომ მათი მიზანი გაჭირვებულების დახმარებაა და არასოდეს დაავიწყდებათ იმ ადამიანების ცრემლები, რომლებიც მათი დახმარებით ამიერიდან გადაადგილებას შეძლებენ. მათი თქმით, განსაკუთრებულად მოსწონთ საქართველო და ქართული სტუმარმასპინძლობა. სწორედ ამიტომ, პაციენტებთან ურთიერთობაშიც ზოგჯერ ქართულ სიტყვებს იყენებდნენ.

ილია მარტყოფლიშვილი

ექიმები ქველმოქმედებისთვის

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დღე, მნიშვნელოვანი აქცია მოეწყო დედოფლისწყაროში. 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, დედოფლისწყაროს პოლიკლინიკაში ორგანიზაცია „ქართული ოცნება ჯანმრთელი მომავლის” ინიციატივით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის ექიმები ჩამოვიდნენ. მათ 1-დან 16 წლამდე ასაკის 200-მდე დედოფლისწყაროელი ბავშვი უფასოდ გასინჯეს. სხვადასხვა კაბინეტებში სხვადასხვა სპეციალობის ექიმები: ოფთალმოლოგები, დერმატოლოგები, პედიატრები, ნევროპათოლოგები, ქირურგები,ყელ-ყურის ექიმები მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ და გულისხმიერად ემსახურებოდნენ პატარა პაციენტებს.

-„აღნიშნული ღონისძიება გახლავთ რიგით 27-ე აქცია, რომელსაც ჩვენი ორგანიზაცია „ქართული ოცნება ჯანმრთელი მომავალი” ჟვანიას კლინიკის პროფესორ ექიმებთან ერთად ახორციელებს, ჩვენ მოვიარეთ თითქმის მთელი საქართველოს რეგიონები და დედოფლისწყაროს ხელმძღვანელობის კეთილი ნებისა და ხელშეწყობის წყალობით ამ რაიონშიც მოვხვდით. მოხარული ვართ, რომ ბავშვთა დაცვის დღეს ასე ლამაზად აღვნიშნავთ და ჩვენი წვლილი შეგვაქვს ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდაში. დილიდან პაციენტთა დიდი აქტივობა შეინიშნება, ჩვენ გავსინჯავთ 200 ბავშვს და მასზე მეტსაც, იმდენს,რამდენიც მოთხოვნა იქნება და რამდენსაც დღის ბოლომდე მოვასწრებთ.”- აცხადებს ორგანიზაცია „ქართული ოცნება ჯანმრთელი მომავალის” პრეზიდენტი ქეთევან ბარათელი.

სტუმრებს ადგილზე მასპინძლობას უწევდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი სოლომონ ღორაშვილი და საავადმყოფო-პოლიკნილიკური გაერთიანების დირექტორის მოადგილე ივანე ნატროშვილი. მშობლები კმაყოფილებას და მადლიერებას გამოხატავდნენ როგორც ექიმების, ასევე ხელმძღვანელობის მიმართ, ამ აქციის განხორციელებისთვის.

-„ორი შვილის დედა ვარ, აქციის შესახებ ახლობელმა ექიმმა შემატყობინა და მაშინვე წამოვიყვანე ბავშვები, ჯანმრთელობის კუთხით მნიშვნელოვანს და საგანგაშოს არაფერს ვუჩივით, თუმცა როდესაც ასეთი მაღალი პროფესიის მედიკოსები, რაიონში გვეწვივნენ, მაინც ვეცადე, რომ კონსულტაციაზე გამეტარებინა ისინი, ძირითადად პედიატრთან ვიზიტი დაგვჭირდა. კმაყოფილი დავრჩი, კარგი რჩევები და ზუსტი დანიშნულება მივიღეთ.” - ამბობს მარიამ ჯანყარაშვილის მშობელი.

- „ჩემს გოგონას მხედველობის პრობლემა აქვს, ბავშვი სათვალეს ხმარობს, ამიტომ სასწრაფოდ მოვიყვანე და გავასინჯე ექიმებს, გამიხარდა, რომ ოფთალმოლოგიც გახლდათ ჩამოსული, გასინჯეს და ძალინ კარგი კონსულტაციაც მივიღეთ, კმაყოფილი ვარ, მით უმეტეს მომსახურება უფასოდ მივიღეთ, ადგილობრივი ექიმებისგან უკმაყოფილონი არ ვართ, მაგრამ პროფესორის დონის ექიმებთან ბავშვის გადამოწმება არ გვაწყენდა. ასეთი ვიზიტები თუ ხშირად განხორციელდება ჩვენს რაიონში, მოხარული ვიქნებით, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ ძალიან ბევრ მშობელს უჭირს ქალაქში ექიმებთან ბავშვების კონსულტაციებზე წაყვანა. მადლობა ამისთვის ამ აქციის ორგანიზატორებს, მასპინძლებს, ყველას.”-ამბობს მარიამ ჯანყარაშვილის მშობელი.

ლალი მეხრიშვილი

სპექტაკლი მუსიკის ბგერების თანხლებით

2 ივნისს ხელოვნების სკოლაში ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი სპექტაკლი „მუსიკის ძალა“ დაიდგა. სცენარის ავტორი გახლდათ ხელოვნების სკოლის დირექტორი მარიამ კიკილაშვილი. იდეა ძირითადად მოტივირებული იყო ბავშვების მუსიკით მეტად დაინტერესებასა და მათ მოზიდვაზე, ხოლო შინაარსი მდგომარეობდა შემდეგში: შორს „ვარსკვლავეთში“ ერთი „ზესთასოფელი“ არსებობდა, სადაც „ვარსკვლავთბიჭუნები“ და „ვარსკვლავთგოგონები“ ცხოვრობდნენ. ისინი ყველანი მღეროდნენ და უკრავდნენ. ერთხელ, როცა „დიდედა ფერია ლირას“ დაბადების საუკუნეს ულოცავდნენ, „ვარსკვლავთბიჭუნებმა“ და „ვარსკვლავთგოგონებმა“ დედამიწაზე წასვლა და იქაური მუსიკის მოსმენა გადაწყვიტეს. დედამიწაზე კი მათ უბედურება დაატყდათ. „ვარსკვლავთბიჭუნა ტაისის“ ბოროტმა ფერიებმა საშინელი მუსიკით გული გაუქვავეს და დედამიწაზე დატოვეს. ის ჯადოსნური მუსიკა, რომელშიც იყო ძალა ადამიანის გაქვავებული გულის გალღვობისა, აღმოჩნდა ძველი ქართული ჰიმნი „მზე შინა“. ტაისის ქვადქცეული გული „კავკასიის მთებში მცხოვრებმა მოხუცმა მუსიკოსმა“ გაალღო და ბიჭუნა „ვარსკვლავეთს“ დაუბრუნა. ზღაპარი კი დამთავრდა ისე, როგორც ყველა ზღაპარი მთავრდება, სიკეთემ კიდევ ერთხელ დაამარცხა ბოროტება.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ ხელოვნების სკოლის მოსწავლეები მეორედან დან მეექვსე კლასის ჩათვლით. ისინი თავიანთ მხატვრულ სახეს მუსიკის საშუალებით გადმოსცემდნენ. შესაშური დიქციით მოგვითხრობდა ზღაპარს მარიამ ბზუკაშვილი. შესანიშნავი მხატვრული სახეები შექმნეს მოსწავლეებმა: „ფერია ლირა“- მარიამ ლაპიაშვილმა, „ვარსკვლავთბიჭუნა ტაისი“-აბრაამ ახალაურმა, „ვარსკვლავთგოგონები“-ლიკა ბახუტაშვილმა, მარიამ ხარაზიშვილმა, ქეთი გივიშვილმა, ანასტასია ყოჩიაშვილმა. მათი „დედამიწელი მასპინძლები“ გახლდნენ ნიკა მესროფიანი, ლუკა მამამთავრიშვილი, ნინო სულაშვილი, მალვინა ისმაილოვა და მაია ბიკაშვილი. ძალიან შთამბეჭდავად იყო წარმოდგენილი ბოროტი ფერიების სცენები ლიკა გოგილაშვილის, სალომე სიმონიძის და ნინო ფიროსმანაშვილის შესრულებით.

აღსანიშნავია, რომ ბავშვები ამ მხატვრულ სახეებს უპირველესად როიალთან, მუსიკის გზით ქმნიდნენ.

ზღაპარი დასრულდა ძველი ქართული „მზის საგალობლით”, რომელიც სპექტაკლისთვის გადაამუშავა მარიამ კიკილაშვილმა და ჯადოსნური მუსიკის ფუნქცია მიანიჭა.

ზღაპრის ფინალში მონაწილეობდა მოსწავლეთა გუნდი მარიკა პირზადოვას ხელმძღვანელობით.

სპექტაკლმა იმდენად თბილი, ამაღელვებელი განწყობა დაუტოვა დარბაზში მსხდომთ, რომ იქვე გაჩნდა სურვილი, ასეთი სანახაობრივი და ამავდროულად, სასიამოვნოდ მოსასმენი სპექტაკლი, რომელიც პრაქტიკულად სიახლე იყო ხელოვნების სკოლის ისტორიაში, მომავალში უფრო დიდ დარბაზში, ფართო აუდიტორიის წინაშეც წარსდგეს, უფრო მეტ მოსწავლეს მიეცეს მისი მოსმენის საშუალება, რაც მათ დაეხმარება მუსიკალური ცნობიერების ამაღლებასა და „მუსიკის ძალის“ შეგრძნებაში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, სააღმზრდელო ცენტრის წარმომადგენლები, სხვადასხვა სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები და სხვა მოწვეული სტუმრები. დასასრულს თამარ თამაზაშვილმა მადლობა გადაუხადა ხელოვნების სკოლის მოსწავლეებს და მათ პედაგოგს მარიამ კიკილაშვილს ასეთი ლამაზი სპექტაკლის შექმნისა და წარმოდგენისთვის, მოსწავლეებთან თავდაუზოგავი მუშაობისთვის და სკოლას კიდევ მრავალი მხატვრული სახის შექმნა უსურვა მუსიკალური ბგერების თანხლებით.

ელზა ხარაშვილი

ერთი დღე ბახის სამყაროში

30 მაისს ხელოვნების სკოლაში „ი. ს. ბახის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი“ მიძღვნილი საღამო გაიმართა. იდეის ავტორი გახლდათ ხელოვნების სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი ლია ხაჩიაშვილი, მას ამ ღონისძიების ორგანიზებასა და ნაწარმოებების ხარისხის მიხედვით შერჩევაში ეხმარებოდნენ ხელოვნების სკოლის დირექტორი მარიამ კიკილაშვილი და მეთოდისტი თამილა ნადირაშვილი.

ღონისძიება მთლიანად შემოიფარგლა ბახის ცხოვრების ბიოგრაფიული ცნობებით დაბადებიდან გარდაცვალებამდე და მისი შემოქმედებითი მოღვაწეობით.

ღონისძიება მიჰყავდათ და მუსიკალურ-მხატვრულად აფორმებდნენ მუს.ლიტერატურისა და საფორტეპიანო-სავიოლინო განყოფილების მე-5, მე-6 კლასის მოსწავლეები: ნათია თავაძე, მალვინა ისმაილოვა, ანასტასია ყოჩიაშვილი, მარიამ ბზუკაშვილი, მადინა ღანიშაშვილი, ნათია პაპუაშვილი, თამთა ფეიქრიშვილი, ლიკა ბახუტაშვილი, თამთა ღორაკუდაშვილი, სალომე სიმონიძე და მარიამ ხიზანიშვილი.

მეტი შთამბეჭდილების მოსახდენად, სლაიდ-შოუს მეშვეობით ილუსტრირებული იყო მასალები ბახის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მოისმინეს მუსიკოსის გენიალური საორღანო, საგუნდო, საორკესტრო ნაწარმოებები.

საფორტეპიანო ნომრები დაუკრეს მოსწავლეებმა: ქეთი გივიშვილმა (მე-2 კლ.), ანა ჩუთლაშვილმა (მე-3 კლ.), ლიანა გიგოლაშვილმა (მე-4 კლ.), ნინო სულაშვილმა (მე-6 კლ.), ხოლო სკოლის მოსწავლეთა ანსამბლმა (პედაგოგი მარიკა პირზადოვა, კონცერტმეისტერი ნინო სვანიძე) შეასრულა ბახის „გუდასტვირი“.

დასასრულს, ხელოვნების სკოლის დირექტორმა მარიამ კიკილაშვილმა მადლობა გადაუხადა პედაგოგ ლია ხაჩიაშვილს და მის მოსწავლეებს ბახის ცხოვრებისა და შემოქმედების ასე საინტერესოდ და შთამბეჭდავად წარმოდგენისთვის.

ღონისძიებას ესწრებოდნენ გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი მაია ყოჩიაშვილი, პედაგოგები, მოსწავლეები და სხვა მოწვეული სტუმრები.

ელზა ხარაშვილი

ახალი ინიციატივები და ახალი გამოწვევები

ბოლო 22 წლის განმავლობაში ამერიკელმა ხალხმა USAID-ის მეშვეობით,1,5 მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარება გაუწია საქართველოს. USAID-ის პროექტები მიზნად ისახავს დახმარების გაწევას საქართველოსთვის თავისუფალი და ძლიერი დემოკრატიის მშენებლობის პროცესში და მოიცავს ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესებაზე. USAID უწევს ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას 100-ზე მეტ ქვეყანას. მათ შორისაა საქართველო, სადაც უამრავი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

18 მარტს დაიწყო ახალი ინიციატივა- „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“, რომელსაც ფინანსურ მხარდაჭერას უწევს კვლავ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ახორციელებს International Rescue Committee, ჩENN-თან ერთად, რომელიც ინიციატივის ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციაა.

4 ივნისს ქალაქ თელავში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მოეწყო პროექტის პრეზენტაცია და მრგვალი მაგიდა, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

შეხვედრა გახსნა პროექტის ხელმძღვანელის მოადგილემ ნინო შავგულიძემ , ხოლო პროექტის პრეზენტაციამიზნები,კომპონენტები, დაგეგმილი საქმიანობები- წარმოადგინა პროექტის ხელმძღვანელმა რობერტ ბოდომ.

სათბური აირების შემცირება,ნარჩენების ხელახლა გამოყენება, გადამუშავება-აღდგენის კონცეფცია და ნარჩენების ინტეგრირებული მართვა - ამ პრაქტიკის გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე ისაუბრა პროექტის 2 კომპონენტის ლიდერმა კახა რუხაიამ.

შეხვედრის ორგანიზება უზრუნველყვეს ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციის ჩENN-ის წარმომადგენლებმა ნინო თევზაძემ (სენის პროექტების მენეჯერი) და კახა სუხიტაშვილმა(რეგიონული კოორდინატორი).

ინიციატივა- „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ (ჭMთღ) ხელს შეუწყობს შესაბამის ცენტრალურ ადგილობრივ მთავრობებს, ადგილობრივ ბიზნესს, თემებსა და მუნიციპალიტეტებს ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის შემუშავებაში საქართველოს ორ სამიზნე რეგიონში-კახეთსა და აჭარაში.

ამ რეგიონებში პროექტი დაეხმარება საქართველის მთავრობას ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბებაში. შერჩეულ მუნიციპალიტეტებში განხორციელდება პილოტური ღონისძიებები (პროექტები) ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოზე ნარჩენების მავნე ზემოქმედებისა და ნაგავსაყრელებიდან სათბური აირების შესამცირებლად.

პროექტში ჩართული იქნებიან მოსწავლეები, მათთვის მოეწყობა ეკო-ბანაკები და კონკურსები.

შეხვედრას ესწრებოდნენ და დიალოგში მონაწილეობდნენ კახეთის რეგიონის, მუნიციპალიტეტის გამგეობების , დასაუფთავების სამსახურების, რესურს-ცენტრების, ადგილობრივი სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სხვა დაინტერესებული პირები.

დედოფლისწყაროდან დიალოგში მონაწილეობდნენ შპს ,,სერვისი-2007“-ის დირექტორი ელიზბარ ალუღიშვილი, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მარინა ქადაგიძე და მუნიციპალიტეტის გამგეობის მთ. სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ანა ბენაშვილი.

ხალხური მუსიკის მადლი

ათი წელია, რაც დედოფლისწყაროში ფოლკლორული ანსამბლი "ქიზიყი" შეიქმნა დალი ელისაშვილის ხელმძღვანელობით. თავდაპირველად მომღერალთა გუნდი ბიჭუნებისგან შედგებოდა. მათი გაურანდავი ხმები დიდი ძალისხმევისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგად დალი მასწავლებელმა ისე დაამუშავა, რომ მათი მოსმენის შემდეგ გენიალურმა ქართველმა ლოტბარმა ანზორ ერქომაიშვილმა თქვა: „მათ დიდი მომავალი აქვთ". ეს 2004 წელს იყო. ოთხი წლის შემდეგ გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „მანდილიც" ჩამოყალიბდა და ისინიც ეზიარნენ ჭეშმარიტი ქართული ხალხური მუსიკის მადლს.

3 ივნისს ანსამბლ „ქიზიყის" საიუბილეო კონცერტი გაიმართა ხელოვნების სკოლის სააქტო დარბაზში. დამსწრე საზოგადოებამ კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნება მიიღო ანსამბლების „ქიზიყისა" და „მანდილის" მიერ შესრულებული ქართული ფოლკლორის ნიმუშებით. ეს კონცერტი ათწლიანი მუშაობის ერთგვარი შეჯამებაც იყო.

„მე მახსენდება ის დრო, როცა პირველად დაიწყო დალი მასწავლებელმა მოღვაწეობა. მაშინ გაუბედავად დაიწყეს პატარებმა სიმღერა, დღეს კი უკვე ჩამოყალიბებული მომღერლები არიან. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის დალი მასწავლებელს, რომელიც ათი წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა ჩვენი შვილების მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებას. ჩვენი რაიონი ვალშია დალი მასწავლებელთან" - აღნიშნა დეკანოზმა ნიკოლოზმა თავის გამოსვლაში .

„არის მომენტი, როცა სიტყვები არ გყოფნის, იმიტომ კი არა, რომ სათქმელი არაფერი გაქვს, არამედ იმიტომ, რომ სათქმელი ძალიან ბევრია. დალი ელისაშვილის წინაშე მთელი დედოფლისწყაროა ვალში"-ამ სიტყვებით დაასრულა საიუბილეო კონცერტი კულტურის სახლის დირექტორმა და ღონისძიების წამყვანმა ცარო მარტიაშვილმა.

დალი ელისაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის და სამადლობელი სიტყვებიც და ტაშიც მისთვის ჩვეული მოკრძალებით მიიღო. ის ხომ საოცარი უბრალოებით გამოირჩევა და ცდილობს, უჩუმრა აკეთოს დიდი საქმე პატარა ქალაქში.

ინგა შიოლაშვილი

საქართველო უძველესი მუსიკალური კულტურის ქვეყანაა.

1977 წელს ამერიკული კოსმოსური ხომალდით "ვოიაჯერი" კოსმოსში გაიგზავნა ქართული ხალხური მრავალხმიანობის უბადლო ნიმუში - "ჩაკრულო". კომპოზიტორ იგორ სტრავინსკის აზრით: "საქართველოში მიკვლეულ ცოცხალ საშემსრულებლო ტრადიციას უდიდესი წვლილი შეაქვს მუსიკალურ მეცნიერებაში. ეს წვლილი ახალი მუსიკის ყველა აღმოჩენაზე უფრო მნიშვნელოვანია. უბადლოა იოდლი, რომელსაც საქართველოში კრიმანჭულს ეძახიან. უკეთესი არაფერი მსმენია..."

2001 წელს იუნესკომ ქართული ხალხური მუსიკალური კულტურა აღიარა "მსოფლიოს არამატერიალური, სულიერი საგანძურის შედევრად". ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედება სათავეს იღებს უხსოვარი დროიდან. ძველი წელთაღრიცხვის VIII-IV საუკუნეების ისტორიული წყაროები გვაწვდის ცნობებს ქართველთა საფერხულო, შრომისა და სამგზავრო სიმღერების შესახებ. იმ შორეულ ეპოქაში იშვა სხვა ჟანრებიც, რაზეც მიგვანიშნებს ჩვენამდე მოღწეული მრავალი სიმღერის არქაული წყობა და წარმართული შინაარსი.

სიმღერა ქართველთა ყოფა-ცხოვრებისა და წეს-ჩვეულებების განუყოფელი ნაწილი იყო. მან იმთავითვე ჰპოვა მრავალფუნქციონალური დატვირთვა, რამაც განუზომლად გააფართოვა სასიმღერო ჟანრებისა და ფორმების წრე.

ბავშვობის გზაგასაყართან

თითქოს სიმბოლურად, მაგრამ მაინც, ასე დაემთხვა, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, გარდა იმისა, რომ მთელი რაიონი დღესასწაულობდა, ამ დღეს ჩვენს სკოლას, დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასელებს, ბოლო ზარის ღონისძიება ჰქონდათ. ყველასთვის, მოსწავლისთვისაც და მასწავლებლისთვისაც ძალიან სევდიანი და ამაღელვებელი იყო ეს დღე. ასეთი გახლდათ რეალობა, სკოლის კედლებში თორმეტწლიანი აღზრდის შემდეგ ბავშვები ემშვიდობებიან სკოლას, პედაგოგებს და თავისთან იტოვებდნენ ყველა იმ ლამაზ მოგონებას, რაც ამ ხანას თან ახლავს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ თითოეული მათგანი ჩვენთვის, პედაგოგებისთვის იმდენად ახლობლები იყვნენ, რომ არ გვეთმობოდნენ, რადგან გვჯერა, გაგვიჭირდება მათთან განშორება. მათ თვალებში კი, უკვე ვხედავდით მონატრებას სკოლის და მასწავლებლების მიმართ. იმისთვის, რომ სევდა გაეფანტათ, ბავშვებმა იუმორს მოუხმეს, წამყვანებმა გული გონაშვილმა და თამუნა ქოქიაშვილმა ეს ნამდვილად მოახერხეს. მშობლები, პედაგოგები და ბავშვები სევდანარევი ღიმილით ისმენდნენ მათ სიტყვებს, თუ როგორ იხსენებდნენ კლასის კურიოზებს. ცრემლებს ვერ ფარავდა მეთორმეტე კლასის ხელმძღვანელი ნონა ტოკლიკიშვილი, რომელმაც გზა დაულოცა თავის აღზრდილებს. ბავშვებს სიტყვით მიმართა ასევე ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგმა ლალი პოპიაშვილმა.

ეს ბავშვები ხომ სკოლაში გამოირჩეოდნენ ერთმანეთთან განსაკუთრებული მეგობრული დამოკიდებულებით. მათვე მომზადებული ჰქონდათ ვიდეოები და სლაიდები, სადაც ასახული იყო მათი განვლილი წლები. ამ ყველაფერმა მშობლებს და მასწავლებლებს ცრემლი მოჰგვარა თვალზე. ბოლოს, მოსწავლეებს გზა დაულოცა სკოლის დირექტორმა ია ლაპიაშვილმა და გულღიად მიმართა ბავშვებს, მიუხედავად უამრავი საყვედურისა, რომელიც აუტანია მათ გამო, მაინც დიდი სიყვარულით და გულისტკივილით აცილებს მათ სკოლიდან

და ისურვებდა, რომ მალე მიელოცოს მათთვის სტუდენტობა. ბოლოს ყველამ ერთად იმღერა თავიანთი შექმნილი კლასის ჰიმნი, რომელიც იყო იუმორით სავსე, მაგრამ ამ სიმღერამ მაინც მოახერხა ის, რომ მოზეიმეების ღიმილს სევდა შეერია. სევდა იმის, რომ დამთავრდა ცხოვრების ყველაზე ლამაზი, უდარდელი ხანა- ბავშვობა და სიხარული იმის, რომ დაიწყო ახალი რეალობა, სადაც მეტი მზადყოფნა და მუდმივი მობილიზებაა საჭირო.

გზა დაგვილოცია, ბავშვებო, დაე, მუდამ სიხარულით და წარმატებებით აღსავსე ყოფილიყოს თქვენს მიერ გასავლელი ცხოვრების გზა!

მაია კეტოევანი
მეორე საჯარო სკოლის ორგანიზატორი

„ზაქები" კვლავ წარმატებებით დაბრუნდნენ

1 ივნისს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა „კუნგფუ - სანდაში", სადაც საქართველოს მასშტაბით თითქმის ყველა გუნდი იღებდა მონაწილეობას. ამ ტურნირს არ გამოაკლდა ასევე ზემო მაჩხაანის სპორტული გუნდი „ზაქები", რომელმაც წარმატებით იასპარეზა შეჯიბრზე და საუკეთესო შედეგებით, რვა მედლით დაბრუნდა. „ჩამოვიტანეთ რვა მედალი, მოვიპოვეთ ერთი პირველი, ხუთი მეორე და ორი მესამე ადგილი. პირველ ადგილს დაეუფლა - სანდრო ნატროშვილი, მეორე ადგილი დაიკავეს- გიგა ნანობაშვილმა, გიორგი ჯანაშვილმა, ლუკა მარტყოფლიშვილმა, გიორგი რევაზიშვილმა, ტატო ნატროშვილმა, მესამე ადგილი მოიპოვეს - გიგა ნატროშვილმა და თამაზ გაბიტაშვილმა. ავადმყოფობის გამო შეჯიბრზე მონაწილეობა ვერ მიიღო გიორგი ნატროშვილმა, რომელიც უმოკლეს დროში მზადებას დაიწყებს აზიის პირველობისთვის, რომელიც გაიმართება ირანში. გუნდი მოამზადა კახეთის „კუნგფუ -სანდას" გენერალურმა მდივანმა გენადი ნატროშვილმა და მწვრთნელმა გიორგი ფიროსმანაშვილმა. აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად „ზაქები"ფინანსურად უზრუნველყო მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სამსახურმა, რისთვისაც გენადი ნატროშვილი და გიორგი ფიროსმანაშვილი მადლობას უხდიან რაიონის ხელმძღვანელობას.

ლალი მეხრიშვილი

როგორი იქნება საარჩევნო აქტივობა

15 ივნისს საქართველოში თვითმმართველობის არჩევნები ტარდება, დღე, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ჩვენი ქვეყნის უახლოესი მომავალი. ამ დღეს საქართველოს ყველა მოქალაქეს ეძლევა უფლება, მივიდეს საარჩევნო ყუთთან, გამოიყენოს თავისი კონსტიტუციური უფლება და გააკეთოს სასურველი არჩევანი. არჩევანი, რომლის მიხედვითაც მათ სოფელსა თუ ქალაქს საკუთარი წარმომადგენელი ეყოლება მუნიციპალიტეტის საკრებულოში. ვინ იქნება ქალაქისა თუ მუნიციპალიტეტის თავკაცი, რომელი პარტია რამდენ პროცენტს აიღებს და რამდენ მანდატს მოიპოვებს საკრებულოში, ეს ყველაფერი თითოეული ჩვენი მოქალაქის მიერ განხორციელებულ ხმაზე იქნება დამოკიდებული.

საყურადღებოა, რომ დღეს ძალიან ბევრი მოქალაქე გულგრილობას იჩენს არჩევნებში მონაწილეობის საკითხის მიმართ და აცხადებს, რომ არ მივა არჩევნებზე. კითხვაზე, თუ რატომ?- გვპასუხობენ, მათთვის სულ ერთია, მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ იქნება ქვეყნის სადავეებთან, რადგან სჯერათ, რომ მაინც არაფერი არ შეიცვლება. ამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, სავსებით დასაგმობია და გასაპროტესტებელი. სწორედ ეს "სულ ერთიას" პრინციპია, რომელიც კოდივითაა ჩარჩენილი ზოგიერთ ჩვენ თანამოქალაქეში, ის კი ავიწყდებათ, რომ მას ამ ქვეყნის მოქალაქეობა ავალდებულებს, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში... და საერთოდ, თუკი ადამაინს თავისი ქვეყანა უყვარს, თუკი ამ ქვეყნის შვილია და მასზე გული შესტკივა, როგორ შეიძლება გულგრილად მიუდგე იმ საკითხს, რასაც საქართველოს არჩევანი ჰქვია.

თუ როგორია ზოგადად წინასაარჩევნო განწყობა მოსახლეობაში, რას ფიქრობენ ისინი, გააკეთეს თუ არა უკვე თავისი არჩევანი და რამდენად დადებითად აფასებენ განვლილი წელიწადნახევრის მანძილზე ჩვენი ხელმძღვანელობის მუშაობას, ამასთან დაკავშირებით თავად მოქალაქეებს ვესაუბრეთ.

ციცო, 44 წლის-„არჩევნებზე აუცილებლად გამოვცხადდები და განვახორციელებ ხმას, თუ ვის პოზიციას დავიჭერ, ეს უკვე კარგა ხანია გადაწყვეტილი მაქვს და აზრს არ შევიცვლი, ამ მთავრობას საკრიტიკო ნამდვილად არ აქვს, მაგრამ ხალხს მშვიდი ცხოვრება და ეკონომიური პირობების გაუმჯობესება ესაჭიროება, აღარ გვსურს კვლავ არეულობა და გაურკვევლობა, ამიტომ, ვფიქრობ, უმეტესობა მაინც „ქართული ოცნების" კანდიდატებს დაუჭერს მხარს. ერთადერთი, რითაც უკმაყოფილო ვარ, დენის არათანაბარი მოწვდაა, ჩაქრობას აღარ ვჩივი, ტელევიზორს ან კომპიუტერს რომ ჩავრთავ, დენის გამანაწილებელი გამუდმებით წვალობს და წკაპუნობს, ასეთი არათანაბარი დენის მოწვდა მალე ალბათ ტექნიკას გამიფუჭებს, სადღაა იმის საშუალება, რომ ასეთი ძვირი საოჯახო ნივთი ხელმეორედ შევიძინო? დენის მოწვდის სტაბილურობას და მაღალხარისხიანობას ვიწუნებ, სხვას არაფერს".

ჯემალი, 70 წლის,- „ამ მთავრობის ძალიან კმაყოფილი ვარ, ხალხი ისე გაზარმაცდა, რომ ხელის გატოკების გარეშე უნდათ იცხოვრონ და მიეჩვივნენ, რომ მზამზარეულად მიიღონ თავის სარჩენი, ეგრე არ არის, ოთხი შვილის მამა ვარ, ოთხივე ისე გავზარდე, რომ შრომას მივაჩვიე, ზაფხულობით, როცა სკოლის არდადეგები იყო, ხელოსანს მივაბარებდი ხოლმე უფროს შვილს, რომ ესწავლებინა ხელობა, ეხლა ისეთი ვაჟკაცები არიან, რომ ყველა ხელობა იციან, არაფერს არ თაკილობენ, შრომობენ და კარგადაც ცხოვრობენ, ცხოვრება წვალებისაა, შვილო, უნდა იწვალო და ლუკმა ისე მოიპოვო და არა ისე, როგორც ზოგიერთები ითხოვენ, სოციალური დახმარება არ მომცეს და მომეცითო. აქაოდა ჩვენი რაიონელი პრემიერი გვყავსო, უნდათ რომ ეს რაიონი უცებ სამოთხედ გადააქციოს, ეგრე სადაა. ხომ ვხედავთ, რომ ათასმა მტრმა გამოყო თავი და აღარ აცდიან ნორმალურად მუშაობას. სიტყვების შერჩევას უწუნებენ ახლა, ძალიან კარგად საუბრობს, ან ნეტავ რასაც აკეთებს და უძღვება, როგორ ახერხებს ეს პატარა ასაკის ბიჭი! მომეწონა მისი ჟურნალისტებთან შეხვერდრა, კარგად ილაპარაკა. ძლივს ჩვენი რაიონელი მთავრობაში გვყვავს და მოდი, შევირგოთ რა, დავაცადოთ, ჩვენ მაინც ნუღარ შევუქმნით პრობლემებს. საკმაოდ რთული, საპასუხისმგებლო საქმე დააბარეს, მაგრამ ყველა ვხედავთ, რომ წარმატებით უძღვება მაღალი რანგის შეხვედრებს, მაგრამ აშკარაა, ნიჭიერი კაცია. ახლა, შეუცდომელი ვინაა, უფროსი ასაკის ადამიანებსაც ეშლებათ და ამ კაცს თუ რამე კარგად არ გამოუვა, ნუ გამოვეკიდებით წვრილმანებში. ასეც არ შეიძლება. რა მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტებისთვის ან ქართველი ხალხისთვის, ვინ მოაწერს ხელს ასოცირების ხელშეკრულებას, ხალხისთვის ამას ხომ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ საქართველომ მოაწეროს ხელი და მარგველაშვილი იქნება ეს, თუ ღარიბაშვილი, ამას ნუ გამოვეკიდებით, მაგრამ, რით უნდა შეიქციოს თავი ოპოზიციამ თუ არა ამგვარი ხრიკებით?! ხოდა, ისე ხომ შეაძულეს ქართველებს თავი ნაციონალებმა და რაც დააკლდათ, ეხლა ამ კინკლაობით გადაითავეს, უარესად შეგვაძულეს თავი."

ნათელა, 69 წლის,- „მე პირადად კმაყოფილი არ ვარ, ხელი შიგნით იხრებაო და მეც ასე ვარ, ქვეყანაზე რა გაკეთდა და რა არ გაკეთდა, ეგ სულაც არ მაინტერესებს, როცა საკუთარ სახლში გასაჭირი ყოველ წუთს თავს გახსენებს, ქვეყანა უკვე მეორე ხარისხოვანი ხდება. ჩვენს ქვეყანაში სანამ ის პრობლემა არ მოწესრიგდება და არ დაადგება საშველი, რომ თითოეული ოჯახიდან თითო წევრი მაინც დაასაქმოს სახელმწიფომ, იქამდე სოციალური გაჭირვება სულ იქნება, ოჯახები არიან, რომ ოჯახის ორი-სამი წევრი მუშაობს და მაინც უჭირთ. ჩემი შვილის ოჯახში რომ წლებია არცერთი წევრი არ მუშაობს, წარმოიდგინეთ, რა გაჭირვება იქნება. ახლა არ თქვას ვინმემ, რომ შრომა ეზარებათ. ეგ არაა საქმე, დასაქმდნენ ისეთები, ვისაც ისედაც თვალში წყალი ედგათ, ჩემი შვილი კი, წლები ჯარში მსახურობით იდგა ქვეყნის მშვიდობის სადარაჯოზე, კოსოვო, ერაყი შემოვლილი აქვს, სად არ იყო, სად არ ემსახურა სამშობლოს, ბოლოს აგვისტოს ომშიც მიიღო მონაწილეობა და ის ამ ომის ვეტერანია, მაგრამ დღეს ის ყველაზე დაუფასებელი ახალგაზრდაა... როცა მრავალწლიანი ოჯახისგან მოშორებით ცხოვრებით დაიღალა და თქვა, წავალ ჩემს მშობლიურ რაიონს გამოვადგები და იქ სასაზღვრო პოლიციაში ვიმსახურებო, ასაკის გამო დაიწუნეს (38 წელი), განა მართლა სამი წელი წყვეტდა საქმეს? ასეთი სამშობლოსთვის თავდადებული ახალგაზრდა ხელმოცარული უნდა დაეტოვათ?! ჩვენს სასაზღვროზე რომელი რაიონელი ახალგაზრდა არ მუშაობს, ჩემი შვილი კი, ოჯახიანად დღეს გასაჭირშია. უამრავი იწვალა, უამრავგან სცადა, სად აღარ შეაგროვები-ნეს საბუთები და მაინც არა, არსად ფეხი არ ჩააყოფინეს. ბოლოს, ორი წელი ოჯახისთვის რომ ლუკმა არ გამოსცლოდა, მუშადაც კი იმუშავა, მერე საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ, იქაც მძიმე შრომა გაუგრძელდა, ბოლოს უცხო ქვეყანაში ინსულტი გადაიტანა ახალგაზრდა კაცმა, სახლამდე ძლივს დაბრუნებული, ექიმებით ძლივს გადავარჩინეთ. ეს დღევანდელი ჩვენი რეალობაა, განა ერთი ადგილი ვერ გამოინახა სადმე, რომ ჩემი შვილი დაესაქმებინათ?! დიახ, აღნიშნეთ, რომ მე არ ვარ კმაყოფილი. სახელმწიფომ ასე არ უნდა გაწიროს არც ერთი თავისი მოქალაქე, აი, ესაა მთავარი."

თინა, 80 წლის- „მე რაისღა საკითხავი ვარ შვილო, არც აქეთის ვარ და არც იქითის, ბებრები ვართ და როგორღაც მივაგორებთ სიბერეს მე და ჩემი მეუღლეი, ამ მთავრობისა მადლიერნი ვართ, გზაი გაგვიკეთეს, მაგრამ, განათებას ვითხოვდით და იქნებ, ეგიც შეესრულებინათ, რომ ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს გაეხარათ. კი ბატონო, მივცემთ მთავრობას ხმასა, არც გადავუხვევთ ამ აზრსა, მაგრამ ძველათ უფროს-უმცროსკაცობა მცირედით განსხვავდებოდა, ყველა თანაბარ პირობებში ცხოვრობდა, სხვაზე მეტ-ნაკლები ცოტათიღა თუ ვიყავით, ახლა ჩვენი პენსია და ზოგის ხელფასი შეადარეთ, თუ საშუალება არ აქვს სახელმწიფოს, რომ მოსამსახურეს და პენსიონერს ნორმალური თანხა გადაუხადოს, უნდა მოიკლონ მინისტრებმა ცოტა ხელფასები, აქეთ-იქით სიარული და ეგებ ხალხსაც ეშველოს რაიმე, თუ არა ჰყოფნით ეს ფული, შეამცირონ მთავრობის კაცობა, ხალხის ფული ისევ ხალხის კეთილდღეობას მოახმარონ, თვარა საქართველო განახევრდა, ტერიტორიები წაგვართვეს, ქვეყანა თითქმის აღარაა და რაღაის მინისტრობენ ერთი გამაგებინა!"

ნინო 67 წლის -„ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია, ნატოს ვუახლოვდებით, მინისტერიალის შეხვედრას ესწრებოდა ჩვენი კაცი, ამდენი მაღალი რანგის სტუმარი თბილისს არ წვევია წლების მანძილზე, რამდენიც ღარიბაშვილის პრემიერობის დროს, ის ძალიან მოსწონთ და მისით მოხიბლულ არიან მთელი ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები, რაც ძალიან დიდი წარმატებაა ჩვენისთანა პატარა ერისთვის, აგერ, მალე ასოცირების ხელშეკრულებაა მოახლოებული და საქართველომ ხელი უნდა მოაწეროს, როგორც ევროპარლამენტის მეგობარმა ქვეყანამ და ვეცადოთ სხვა დანარჩენი ნიუანსებით ნუ გავიფუჭებთ განწყობას. მერე რა, თუ ცოტა გვიჭირს, მერე რა, თუ ხანდახან ელექტროენერგია გვიქრება, ეს ყველაფერი გამოსწორებადი საკითხებია, თუ არ მუშაობს რომელიმე კომპანია ან სტრუქტურა, ნურავის ეწყინება, მაგრამ შეუცვლელი არაფერია, გადააყენონ ის ხელმძღვანელი და დანიშნონ ისეთი, რომელსაც უკეთ ესმის საქმე, რომელსაც უკეთ გაეგება ამა თუ იმ საქმის. მე ძალიან მომწონს და მოხიბლული ვარ ჩვენი პრემიერით. სულ რომ უკულმა ილაპარაკოს, მაინც მიყვარს, სულ რომ დასაგმობი მთავრობა იყოს, მარტო მისი სიყვარულით მოვიწონებ ამ ხელმძღვანელობას. მე მხარს ვუჭერ მისი კოალიციის კანდიდატებს."



მანანა, 45 წლის -„პირადად მე კერძო კომპანიას ვემსახურები და აქედან გამომდინარე ჩემს სარგოს არც ახალი მთავრობის მოსვლამ უშველა, რა ხელფასიც მქონდა ნაციონალური მთავრობის ხელში, ისევ ის დამრჩა დღემდე- 135 ლარი მერიცხება ხელფასი, სასაცილოა არა?! და როგორ ფიქრობთ კმაყოფილი ვიქნები?!- სამაგიეროდ ჩვენი კომპანიის გენერალურ დირექტორს თურმე 10 000 ლარი აქვს ხელფასი, ხოლო მოადგილეებს თითქმის ამდენი, არადა ისეთ რთულ პროგრამებში ვმუშაობ, ყოველდღიურად იმდენი სიახლეა, რომ უკვე მიჭირს გააზრება, ერთი პატარა შეცდომა ან დაგვიანება და გვემუქრებიან, ჯარიმის გადახდა და სამსახურის დატოვება არ აგცდებათო, ისე, რომ ის მცირედი ხელფასიც, შესაძლოა, სანატრელი გამიხდეს, კერძო კომპანიაა და მონებივით გვამუშავებენ, ეს ხომ უსამართლობაა?! მე რომ ვყოფილიყავი ჩვენი ქვეყნის პრემიერის ადგილას, ნამდვილად ჩავერეოდი კერძო კომპანიის საქმიანობებში და უპირველეს ყოვლისა ხელფასების დარეგულირებას მოვითხოვდი მათგან, ბალანსის დაცვა ყველგან საჭიროა."

ნინო 35 წლის, -„ ჩემს ირგვლივ უამრავ ადამიანს კვლავ უჭირს, სოციალური ფონი ქვეყანაში ნამდვილად გასაძლიერებელია, დასაქმება და ცოტა ელექტროენერგიის გამოსწორება ნამდვილად არ აწყენდა ჩვენს რაიონს, მაგრამ ამის პარალელურად თქვენი გაზეთიდან ვეცნობი და ვიცი, რომ ჩვენს რაიონში ამ მთავრობის დროს უამრავი რამ განხორციელდა, ქვემო ქედებამდე ასფალტის გზა დაიგო, ალაზნის ჯებირები კაპიტალურად გამაგდა, სოფელ „შირაქში" მზის ენერგიით დენი შევიდა, სოფელ ხორნაბუჯში ე.წ. „მაზოვკის" წყაროსთან მანქანას რომ ვერ მიუყენებდი, ახლა ასფალტია ბოლომდე დაგებული, რაიონის რვა ქუჩა მოასფალტდა, ისე რომ, ალბათ კიდევ კაი წლები არ მოელანდებოდა ამ ხალხს ასფალტიანი გზა, სასოფლო- სამეურნეო ვაუჩერებს რომ აკრიტიკებენ, პირადად ჩემმა ოჯახმა ძალიან კარგად გამოვიყენეთ ეს ბარათები, მოვხანით, დავთესეთ წლების დაუმუშავებელი მიწაზე და მოსავალი მივიღეთ, რამაც წელში გაგვმართა. მეუღლე სასაზღვრო პოლიციაში მუშაობს და 120 ლარით მოემატა ხელფასი, იქ, მის სამსახურში პირობები გაუმჯობესდა, ჭაბურღილები გაჭრეს და წყლის პრობლემა მოიხსნა, ელექტროენერგიაა, მაცივარია და საერთოდ ,კომფორტული გარემო შეექმნათ, რითაც გულდამშვიდებული გავხდი, რომ ის ღირსეულიპირობებშია. სამი შვილის დედა ვარ და ბაღის გადასახადის მოხსნა ნამდვილად დიდი შეღავათია ჩემთვის, გარდა ამისა, გულდამშვიდებული ვარ, რომ შვილები ბაღში ნორმალურ კვებას იღებენ. ამ ყველაფერს ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და როგორ შემიძლია დავემდურო ამ მთავრობას?! ანდა, როგორ შემიძლია ვთქვა, რომ არაფერი გაკეთებულა-მეთქი?! ამდენი დაუნახავობაც უკვე მოსაბეზრებელია!"

არჩევნებამდე 10 დღე დარჩა, იმედს ვიტოვებთ, ამომრჩეველი კარგად და ღრმად გააანალიზებს თავის შეხედულებებს და არათუ, ვინმეს თხოვნით ან პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ქვეყნისთვის ყველაზე საჭირო დროს, ყველაზე საუკეთესო არჩევანს გააკეთებს. იმედია, მოსახლეობის მაღალი აქტივობა დაფიქსირდება და მათი არჩევანიც საკადრისი იქნება!

ლალი მეხრიშვილი

სუფთა გარემო ჩვენი კულტურის განმსაზღვრელია

ამბობენ, როგორ გარემოშიც ცხოვრობ, ისეთივეა შენი ცხოვრებაცო, დიახ, სწორედ იმით ფასდება პიროვნების თვითშეგნებაც, როგორ გარემოსაც თავად ირჩევს. დასუფთავებულ გარემოში ცხოვრება ჩვენი მაღალი კულტურის უპირველესი გამოხატულებაა, ამიტომ მნიშვნელოვანია მივაქციოთ ყურადღება არა მარტო საკუთარ სახლს, ეზოს, არამედ მის ფარგლებს გარეთ დარჩენილ გარემოსაც, ისიც ხომ ჩვენი ცხოვრების ნაწილია, ჩენი ყოველდღიურობაა.

7 ივნისს, გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს მწვანეთა მოძრაობა არასამთავრობო ორგანიზაცია „დედამიწის მეგობრების“ ინიციატივით პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო” საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მყარი ნარჩენების მართვის პროცესის ფარგლებში, სოფელ სამრეკლოს ტბის მიმდებარე ტერიტორიის ტყე-პარკის დასუფთავების აქცია მოეწყო. აქციაში მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა, მწვანეთა მოძრაობის დედოფლისწყაროს კოორდინატორმა ირმა რობიტაშვილმა, ჭაჭუნას აღკვეთილის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტმა ნათია ზურაბაშვილმა, რომელიც ასევე მწვანეთა პარტიის წევრია და ამ მოძრაობის სხვა წევრებმა. აქციაში მონაწილეობას იღებდა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი სოლომონ ღორაშვილიც.

აქციის ყველა მონაწილემ თავდაუზოგავი შრომა გასწია, სამრეკლოს ტბის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებაში და გარდა ამისა ყველა ერთხმად აღნიშნავდა, - დადგა დრო, მოქალაქეების თვითშეგნება მივიდეს იმ ნიშნულამდე, რომ აღარ დავაბინძუროთ გარემო. წინაღმდეგ შემთხვევაში თავადვე მოგვინევს დაბინძურებულ ტბაში ბანაობა, ანდა მის წიწვნარში დასვენება. - „დღევანდელი აქცია მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ადამიანებმა ისწავლონ გარემოს დაცვა და მისი სუფთად შენარჩუნება. რა თქმა უნდა ყველა დამეთახმება, რომ არასასიამოვნოა, როდესაც ბუნებაში გადიხარ და იქ პოლიეთელინის ბოთლებით, ან ერთჯერადი პარკებით, დაჭეჭყილი ლუდის სავსე გარემო გხვდება. პირადად მე, როდესაც ბუნებაში მიქეიფია, ჩვენს მიერ გაშლილი ნარჩენები პარკით ამიგროვებია და ქალაქის ურნებამდე წამომიღია, რადგან ძალიან მსურს გვქონდეს ლამაზი ტყე-პარკები. თუ ყოველი ჩვენგანი ასე მოიქცევა, ძალიან კარგი იქნება. დროა, ქართველებმა ჩვენი ბუნების ფასი ვისწავლოთ. არაა ლამაზი ის, რაც დღეს ჩვენ აქ ვნახეთ,- მინის ბოთლების ნამსხვრევები ტბის პირას და წყლის ზედაპირზე ქვებზე დაკრული ცელოფნის პარკები. ეს ყველაფერი შემდეგ ტბის ფსკერზე ილექება და აბინძურებს გარემოს, თუ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა ამ ბუნებრივი სილამაზით სიამოვნება მიიღონ, ვფიქრობ ყველამ უნდა შევიგნოთ და აღარ დავაბინძუროთ აქაურობა.” - აღნიშნავს აქციის მონაწილე, გემგეობის თანამშრომელი დავით პაპუაშვილი.

ვფიქრობთ, რომ გზავნილი სუფთა გარემოს დაცვისა და შენარჩუნების შესახებ ჩვენი გაზეთის საშუალებით საზოგადოებას უკვე არაერთხელ გაეგზავნა, ახლა ჯერი თქვენზეა, ჩვენო თანამოქალაქენო.

ლალი მეხრიშვილი

საქველმოქმედო სპექტაკლი გამარჯვების საჯარო სკოლაში

„XIX საუკუნის ლიტერატურული სალონი“ - ასე ერქვა შემოქმედებით ღონისძიებას,რომელიც სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართა. უფროსკლასელებმა სცენაზე მეცხრამეტე საუკუნის ისტორიული პერსონაჟები გააცოცხლეს.

ავდარი არ დგება საქართველოს ცის ქვეშ. აღამახმად-ხანი პატარა კახს რუსეთთან დადებული ხელშეკრულების გაუქმებასა და ირანთან „მეგობრობას“ სთხოვს... ჩვენი ქვეყნის ისტორიის ეს ერთ-ერთი უმძიმესი ფურცელი პატარა მსახიობებმა დიდი მონდომებითა და ოსტატობით წარმოადგინეს. სპექტაკლს ლაიტმოტივად მიჰყვება ტატო ბარათაშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძის უიღბლო სიყვარულის ისტორია, რაც მას უფრო საინტერესოსა და საინახაობრივს ხდის.

მუსიკალური და საცეკვაო ნომრებით გაფორმებული ისტორიული და ამავდროულად რომანტიკული დადგმის იდეა ამავე სკოლის ისტორიის პედაგოგს ნანა დავითაშვილს ეკუთვნის, ხოლო მუსიკალური გაფორმება ლალი ფიროსმანაშვილს.

„XIX საუკუნის ლიტერატურული სალონი“ იმ საქველმოქმედო ღონისძიებების გაგრძელებაა, რომელიც გამარჯვების რწმუნებულმა გია ჭინჭარაულმა ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძრის მშენებლობისთვის საჭირო თანხების შესაგროვებლად წამოიწყო. ამ დიდსა და საპატიო საქმეში ასევე აქტიურადაა ჩართული სოფლის სულიერი მოძღვარი მამა იოანე გივიშვილი.

ტაძრის ასაშენებლად საქველმოქმედო ღონისძიებები კვლავ გაგრძელდება. მრავლს კეთილი ადამიანების დახმარების იმედი აქვს.ბანკ „კონსტანტაში“ გახსნილია საბანკო ანგარიში,სადაც მსურველებს შეუძლიათ გამარჯვების ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის ანგარიშზე გადარიცხონ თანხა. ანგარიშის ნომერია:

GEO3CN0000036801346467

გახსენება



იოსებ ნათათრალაშვილი

აი, ასეთი მამა გვყავდა!

საყვარელო მამა! გვიმძიმს იმის გააზრება და წერა, რომ შენზე ვისაუბროთ წარსულ დროში, მაგრამ სამწუხარო რეალობას ვერ გავექცევით, ეს სიმართლეა.

იცი მამა, შენ როგორად დარჩი ჩვენს სამუდამო მეხსიერებაში?!

ფიზიკურადაც და სულიერადაც ძლიერი; დიდი და თანაც ჩვილი გულის პატრონად; დიდთან დიდად და პატარასთან პატარად; მუდამ დაჩაგრულის ქომაგად, რომელიც ქაღალდს მოდრეკდა, ობოლს იმედის სხივს გაუბრწყინებდა; მეზობელსა და და ახლობელს სილაღესა და სიამაყეს მიანიჭებდა, ქალის ღირსებას პატივს სცემდა; ამაყი და თან უპრეტენზიო...

მაგრამ, სამწუხაროდ გვყვავდი და ახლა არ გვყავხარ, მარადიულობაში გადახვედი, მაგრამ იმდენი შუქი, საამაყო თვისება და სიყვარული დაგვიტოვე, რომ აღდასასრულამდე გვეყოფა...

შენ ხომ ია-ვარდებით მოფენილი გზით არ გივლია, მამა, არცთუ გრძელი ცხოვრების გზაზე, სამაგიეროდ შენი ღირსებები და წარმატებებია ია-ვარდებით მოფენილი:დაწყებული სრულიად ახალგაზრდობიდან სასახელო სპორტსმენობა: საქართველოს მრავალგზის ჩემპიონობა ვაჟკაცურ სპორტ სამბოში, საბჭოთა კავშიურის შეიარაღებული ძალების ვერცხლის მედლის პრიზიორობა, პარალელურად სტუდენტობა, ზოოვეტერინარის სპეციალობის მიღება და ყველაზე დიდი გვირგვინი შენს ცხოვრებაში: ქართული ოჯახის შექმნა და სამი ქალ-ვაჟის მამობა, რომელმაც ახალი საზრუნავი და სიხარული, აღმაფრენა შეგმატა.

მამა, ჩვენ თუ არ გვახსოვს, ხომ ვიცით თქვენგან და ახლობლებიდან, ჩვენს გაზრდა-აღზრდასთან პარალელურად როგორ აშენებდით საკუთარ ბინას თქვენი ნაოფლით შენ და დედაჩვენი (ასმათ ხომასურიძე) და მართლაც ტკბილი იყო თქვენი შრომის შედეგი.

ჩვენო სიამაყევ, ჩვენო საყვარელო მამიკო, მაშინ, როცა ხალხს პურის ფული ენატრებოდა, შენ ოთხ სტუდენტს დაგვამთავრებინე სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელი, დედა ხომ უღალატოდ გედგა მხარში მუდამ.

ჩვენი ქვეყნის მდგომარეობამ დაგვქსაქსა: ერთი კანადაშია, მეორე საბერძნეთში, მესამე საქართველოში, მაგრამ , მამიკო, შენი ავადმყოფობის ჟამს სამივენი შენს გვერდით ვიყავით და მიწაც ერთად მოგაყარეთ, შენი შიში არ გამართლდა: შვილებისგან დაუმარხავი არ დავრჩეო.

მამა, შენ არ იფიქრო, რომ მარტო ჩვენ გვაქვს შენზე ასეთი წარმოდგენა, მთელი ხალხი, ვინც კი გიცნობს, კაცურ კაცად გთვლის, ათას ეპიზოდს გვიყვება შენს სიკეთესა და ვაჟკაცობაზე და ეს გვმატებს ძალას, რომ შევეგუოთ შენს აქ არ ყოფნას...

მაინც დაგანარცხა ეს დევივით ვაჟკაცი ინსულტმა, რა არ იღონა შენმა ვითომ გაუტეხელმა თანამეცხედრემ, დედაჩვენმა, ერთად ებრძოდიოთ სიკვდილს, მაგრამ... ვის გაუმარჯვია მასთან?! დამარცხდით...

ჩვენო ტკბილო, დიდო ტკივილო, უკვე ორმოცი დღე გავიდა შენი უკვდავებაში გადასახლებიდან, მაგრამ ტკივილი ოდნავადაც არ დამცხრალა, ვებრძვით და გვებრძვის, თუმცა შენი მოგონებები გვკვებავს და შვებას გვგვრის, ესღაა ჩვენი ნუგეშიი, ისიც, რომ უამრავმა მადლიერმა ადამიანმა გაგაყოლა ალალი ცრემლი იმიერში. მამი, შენს საფლავს ეტყობა შენი ოჯახის მადლიერება, შენი შვილებისა და პატარა შვილიშვილების გულწრფელ ცრემლში გამოსჭვივის შენი დიდი მონატრება, შენი და-ძმებისა და ნაცნობთა ფართო წრის სინანულში იხატება შენი დაკარგვის ტკივილი და მეტი რა უნდა წაგელო ამ ქვეყნიდან:„სხვას არა წაუღია რა?!”...

მშვიდად განისვენე, საყვარელო მშობელო, ჩვენო მარად საყვარელო მამიკო, ილოცე ჩვენთვის, ჩვენც ვლოცულობთ შენი სულის სალხენად:

შენი შვილები: ია, ლია და კოგა ნათათრალაშვილები.

მონატრება

ლევან (ჯუმბერ) სურმანიძე

პირველი წელია, უშენოდ ხვდებიან შენს დაბადების დღეს შენი ლამაზი ცოლ-შვილი და შვილიშვილები, 52 წლის უნდა გამხდარიყავი 8 ივნისს, ლავან. ბავშვივით გიხაროდა, როცა გილოცავდნენ, ალბათ იმიტომ, რომ დღეგრძელობა არ გეწერა... ახლა დიდი ტკივილით აცრემლებული ვიტყვით შენს შესანდობარს. შენი დაკარგვა ის ტკივილია, რომელსაც სახელი არ გააჩნია, ის ჭრილობაა, რომელსაც დრო ვერ მოაშუშებს.

ლავენ, ჩვენი ოჯახის წევრივით იყავი, ძალიან მოგვაკლდი, უზომოდ გვიყვარდი და გვენატრები. ჯერ კიდევ ვერ გამოვსულვართ იმ შოკიდან, რასაც შენი ამ ქვეყნიდან წასვლა ჰქვია, ვერ ვიჯერებთ მწარე რეალობას.შენ ხომ ყველასთვის კეთილი და მგრძნობიარე იყავი, ყველა ცრემლით გიხსენებს, ვინც კი გიცნობდა დედოფლისწყაროში. ძალიან ენატრები შენს მეუღლეს, რომელსაც სიგიჟემდე უყვარდი, შენს შვილებს და შვილიშვილებს. შენ ზურიკოს ქორწილისთვის ემზადებოდი და სტუმრების სიაც გქონდა ჩამოწერილი.

შენი სიკვდილით დააკლდი მეზობლებს, სოფელს, რაიონს-ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს და მათაც, ვისაც ერთხელ მაინც გასაუბრებიხარ. მხოლოდ შენი კარგი კაცის სახელი დაგვიტოვე ამ ქვეყნად სანუგეშოდ.

ძვირფასო ლევან, შენი ნათელი ხსოვნა არასოდეს გაქრება ჩვენი გულებიდან. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის საქართველოს კურთხეული მიწა. დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გზა გაგინათოს და დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

შენი ოჯახის საუკეთესო მეგობრები,
მაია და ტარიელი დედოფლისწყაროდან.



შვილები: რობიზონი, თემური, ნუგზარი, თამაზი ყარაგვეზაშვილები. რძლები: გულიკო, ელისო, გალინა, ნათია, შვილიშვილები: მეგი, დავითი, გიორგი, ნათია, არსენა, ნუგზარი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნადია ყარაგვეზაშვილი-ფაშალიშვილი.

ქვემო ქედის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სკოლის პედაგოგს -ნათელა ბოძაშვილს დედის-

ნინოს გარდაცვალების

გამო.

რძალი-ნინო თურმანიშვილი, სიძე -კახა ცაბაურაშვილი იუწყებიან

იოსებ ნათათრალაშვილის

გარდაცვალებას.

გულნარა ტვილდიანი, ფირუზ, დათო, თორნიკე ბურდულები, ნანა კობაიძე იუწყებიან

ენდი ტოკლიკიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ თენგიზ ტოკლიკიშვილისა და თინიკო ტვილდიანის ოჯახს.

სომხეთის სამუშაო ჯგუფმა დედოფლისწყაროს და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში განხორციელებული პროექტები მოინახულა

სომხეთის ლორის მარზის სამუშაო ჯგუფმა „Mercy Corps“ გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის არწივის ხეობაში მდებარე სახოხბე მეურნეობა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში მდებარე სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების პროექტი მოინახულა, ჯგუფის სტუმრობის მიზანი იყო აღნიშნული პროექტების გაცნობა და რეპლიკაცია. შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „Mercy Corps“-ი და კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციის ქსელი (CENN)-ის ერთობლივი ძალისხმევით ახორციელებს სამწლიან პროექტს, რომელიც ევროკავშირის მიერაა დაფინანსებული. პროექტი ამიერკავკასიის სამ რეგიონში -საქართველოში, სომხეთსა და აზრეგაიჯანში ხორციელდება.

ლალი მეხრიშვილი

ხმის მიცემის წესი

თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.

აუცილებლად იქონიეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში - დევნილის მოწმობაც).

დაუშვებელია პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის გარეშე საარჩევნო ბიულეტენის გაცემა. კენჭისყრის ოთახში შესვლამდე, სპეციალური ხელსაწყოთი შეგიმოწმებენ აღგენიშნებათ თუ არა ხელის თითზე მარკირება.

თუ არ აღგენიშნებათ, თქვენ გეძლევათ უფლება მიიღოთ კენჭისყრაში მონაწილეობა. თუ გამოვლინდა, რომ უკვე ხართ მარკირებული, აგეკრძალებათ კენჭისყრაში მონაწილეობა. ასეთ შემთხვევაში თქვენს წინააღმდეგ გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები.

მარკირების შემოწმების პროცედურის წარმატებით გავლის შემდეგ, თქვენ მიდიხართ იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის პირველი ასო და რეგისტრატორს წარუდგენთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას (ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს).

რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში ყოფნის დადასტურების შემთხვევაში თვალით უხილავი სითხით გაგიკეთებთ მარკირებას. რის შემდეგაც რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში თქვენს პირად ნომერს შეიტანს. თქვენ გადმოგეცემათ ორი სახის საარჩევნო ბიულეტენი: ერთი პროპორციული და ერთი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის არჩევნებისთვის. თბილისში დამატებით მესამე - მერის არჩევნებისათვის.

საარჩევნო ბიულეტენების მიღებას ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით დაადასტურებთ. საარჩევნო ბიულეტენების გაცემისას რეგისტრატორმა ხელი უნდა მოაწეროს ბიულეტენების უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და დაუსვას სპეციალური ბეჭედი; ამის შემდეგ თქვენ შედიხართ ფარული კენჭისყრის კაბინაში და გააკეთებთ თქვენს არჩევანს ბიულეტენში სასურველი კანდიდატის რიგითი ნომრის შემოხაზვით. დაუშვებელია ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის შესვლა ფარული კენჭისყრის კაბინაში.

ბიულეტენი ისე უნდა დაკეცოთ რომ არ ჩანდეს, ვის მიეცით ხმა; დაკეცილი ბიულეტენით მიდიხართ განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, საიდანაც დამოუკიდებლად იღებთ სპეციალურ კონვერტს და მასში ათავსებთ ბიულეტენებს. აღნიშნულ კონვერტს აგდებთ საარჩევნო ყუთში, სადაც ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება. კონვერტის საარჩევნო ყუთში ჩაგდების მერე თქვენ დაუყოვნებლივ უნდა დატოვოთ საარჩევნო უბანი.

თუ თქვენ არ შეგიძლიათ ბიულეტენების დამოუკიდებლად შევსება, უფლება გაქვთ, დახმარებისთვის მიმართოთ ნებისმიერ სხვა, თქვენთვის სასურველ პირს, გარდა კომისიის წევრებისა. საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების, კანდიდატისა და დამკვირვებლებისა. თუ საარჩევნო ბიულეტენი გაგიფუჭდათ, ამის შესახებ უნდა აცნობოთ კომისიის თავმჯდომარეს, რომლის დავალებით, რეგისტრატორი ვალდებულია, შეგიცვალოთ გაფუჭებული ბიულეტენი ახლით.

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობისას შეგიძლიათ არჩევანი გააკეთოთ გადასატანი ყუთის მეშვეობით.

გახსოვდეთ:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის წარდგენის გარეშე კენჭისყრაში მონაწილეობა აკრძალულია;
- სხვის ნაცვლად ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერა, ბიულეტენების მიღება და ხმის მიცემა დაუშვებელია;
- არავის აქვს უფლება, თქვენი თხოვნის გარეშე, იმყოფებოდეს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან თქვენს ნაცვლად შეავსოს ბიულეტენები;
- მხოლოდ თქვენ გაქვთ უფლება, საარჩევნო ბიულეტენები მოათავსოთ სპეციალურ კონვერტში, დაუშვებელია საარჩევნო კომისიის წევრის მიერ შევსებული საარჩევნო ბიულეტენების გახსნა ან კენჭისყრის ფარულობის სხვაგვარი დარღვევა;
- კენჭისყრა ფარულია; ვერავინ გაიგებს ვის მიეცით ხმა;
- საარჩევნო ბიულეტენზე რეგისტრატორმა თქვენს თვალწინ უნდა მოაწეროს ხელი და დაუსვას ბეჭედი. თუ ბიულეტენზე არ აღმოჩნდება ბეჭედი და ხელმოწერა, ასეთი ბიულეტენი ბათილად გამოცხადდება და თქვენი ხმა არ იქნება გათვალისწინებული შედეგების შეჯამებისას;
- კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების შემდეგ, თქვენ არ შეგიძლიათ იმავე ან სხვა საარჩევნო უბანში ხელახლა მიიღოთ მონაწილეობა არჩევნებში.
- აკრძალულია საარჩევნო ბიულეტენის და კონვერტის საარჩევნო უბნიდან გატანა
- აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს თქვენი ნების თავისუფალ გამოვლენას.

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება ბინა საავადმყოფოსთან , ბამის ხუთსართულიან კორპუსში, III სართული, I სადარბაზო, ბინა 49. ბინა არის ოროთახიანი, რემონტით, კომფორტით- ორი აივნით, ლოჯიით, საძინებელი და სასტუმრო, იყიდება ავეჯით . ავეჯის გაყიდვა შესაძლებელია ცალკეც. ფასი შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომრებზე:

597 18 69 87, 557 65 94 85. იკითხეთ ლალი ჩეკურიშვილი.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

მესაჭიროება დამხმარე ახალგაზრდა ქალი ოჯახში. მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე 571 20 55 22.

სამჯერნალი გამაჯანსაღებელი მასაჟის კაბინეტი

გინწვევთ გამაჯანსაღებელ პროცედურებზე. აქ შეგიძლიათ ჩაიტაროთ მკურნალობა ოსტეოქონდროზზე, ინსულტის შემდგომი სარეაბილიტაციო მასაჟი, ასევე, საბავშვო, თაფლის, ანტიცელულიტური, ვაკუუმური, წონის კორექციისა და გამაახალგაზრდავებელი მასაჟები. ასევე შეგიძლიათ ყურის გახვრეტა უმტკივნეულოდ, პისტოლეტით.

ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა №55 ან დაგვირეკეთ ტელ: 593 13 40 56



ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 09.06		სამშაბათი 10.06		ოთხშაბათი 11.06		ხუთშაბათი 12.06		პარასკევი 13.06		შაბათი 14.06		კვირა 15.06	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
23 °	23 °	21 °	19 °	22 °	18 °	22 °	16 °	16 °	15 °	18 °	17 °	24 °	21 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნინარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K